ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №145

ქ. თბილისი

30 მაისი 2016 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი (შემდგომში – შემსყიდველი), მდებარე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2-ში, წარმოდგენილი აპარატის უფროსის ელენე დუმბაძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, შპს „ბე_დი+" (შემდგომში – მიმწოდებელი), მდებარე: ქ.თბილისი, თამარაშვილის №10, წარმოდგენილი დირექტორი რომეო კვანტალიანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის ბიუჯეტის სახსრებით, სხვადასხვა სახის აკუმლატორების, დენის პირველადი წყაროების და პირველადი ელემენტების (იხ.დანართი 1) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
1.2 შესყიდვის ობიექტია: აკუმლატორების, დენის პირველადი წყაროების და პირველადი ელემენტების სახელმწიფო შესყიდვა ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.
1.3 კლასიფიკატორის კოდი: 314 000 00;314 100 00; 314 200 00.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება: ლარში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1 312 (ერთათას სამასთორმეტი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის, ასევე ყველა ხარჯის, რომელიც დაკავშირებულია საქონლის შესყიდვასთან) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) კალენდარული დღეში.
3.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.
3.3. მომსახურების მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, თამარაშვილის №10.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".
4.3. „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობითი სახით, აცნობოს "მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურებისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლების დასკვნის საფუძველზე განახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი (ხ.ბენდელიანი).

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. "შემსყიდველი" ვალდებულია:
– გადაუხადოს „მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი;
– მიიღოს მიწოდებული საქონელი.
– უკან დაუბრუნოს „მიმწოდებელს" მიწოდებული საქონელი, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს და მოითხოვოს მისი თავიდან შესრულება.
5.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
– მიაწოდოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში;
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

6. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

6.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.
6.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
6.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო
7.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): საქონლის მიღების შემდეგ, აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.
7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 50%-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.5 ხელშეკრულების გასვლიდან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.5%-ს.
8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს–მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
9..2.ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.
9.4. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
10.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
10.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის” მხრიდან ანხორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
11.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხებზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის უშედეგოდ გასვლის შემდგომ დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 20 ივლისის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
13.2. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
13.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ცნებების განმარტებისას ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
მის: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
სს „ლიბერთი ბანკის“ ცენტრ. ფილ.
ბ/კოდი: LBRTGE 22
ა/ა GE 95 LB 012 515 210 162 7000
ს/კ 204 495 055

ელენე დუმბაძე

მიმწოდებელი:

შპს „ბე–დი+“
მის: ქ. თბილისი, თამარაშვილის №10
სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კოდი BAGAGE
ა/ა GE84BG 0000 0001 9963 1700
ს/კ 204 530 588

რომეო კვანტალიანი

დანართი N1

N	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი (ლარი)	თანხა (ლარი)
1	4901660128737 SONY rechar NHAAB2K R06 2000 mAh 1x2 pcs	ცალი	16	7,20	115,20
2	1581 SONY დამტენი BCG34H(128393)W/O Battery 4901660128393	ცალი	2	18,60	37,20
3	00694 Camelion Alkaline, A23 size, 1 pc blister A23-BP1	ცალი	30	2,40	72,00
4	დასატენი ელემენტი კრონა 9V GETTOP	ცალი	8	14,10	112,80
5	ელემენტების დამტენი (კრონა) UFO CHARGER RP-866	ცალი	1	31,60	31,60
6	66010126012 აკუმლიატორი LP12-7.0, LEOCH Rechargable Battery	ცალი	30	25,90	777,00
7	017814 გადამრთველი კვმ სვიჩიD-LINK KVM-221, 2 port USB KVM Switch	ცალი	2	83,10	166,20
					1312.00

აპარატის უფროსი

ელენე დუმბაძე

შპს „ბე დი +" დირექტორი

რომეო კვანტალიანი